KA030186889556119

**№ 01-413** **18 / იანვარი / 2019 წ.**

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან
დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური
დაცვის მინისტრს ბატონ დავით სერგეენკოს

ანალიტიკის, ადამიანური რესურსების მართვისა და
საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის
უფროსის, პირველადი სტრუქტურული ერთეულის
ხელმძღვანელის სოფიკო ბელქანიას

## მოხსენებითი ბარათი

ბატონო დავით,

მოგახსენებთ, რომ მიმდინარე წლის 22-25 იანვარს ევროკავშირის ტექნიკური მხარდაჭერისა და ინფორმაციის გაცვლის ინსტრუმენტის (TAIEX) ფარგლებში ქ. ზაგრებში (ხორვატიის რესპუბლიკა) ჯანმთელობის დაცვის სამინისტროში დაგეგმილია სასწავლო ტური, რომელიც ითვალისწინებს ხორვატიის გამოცდილების გაზიარებას ორგანოთა ტრანსპლანტაციის სფეროში მოქმედი ევროდირექტივების ქართულ კანონმდებლობაში იმპლემენტაციის მიზნით.

აღნიშნულ სასწავლო ტურში მონაწილეობის მიღების მიზნით მიწვეულია საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის პირველი მოადგილე - ზაზა ბოხუა, სამინისტროს ჯანმრთელობის დაცვის დეპარტამენტის რეგულირების სამმართველოს უფროსი, მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - ნათია ნოღაიდელი და იურიდიული დეპარტამენტის კანონშემოქმედებითი საქმიანობის სამმართველოს უფროსი, მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - შორენა ოქროპირიძე.

მონაწილეობის ხარჯები (სასტუმრო, მგზავრობა და დღური ნორმა) სრულად ანაზღაურდება მიმწვევი მხარის მიერ.

თქვენი თანხმობის შემთხვევაში, უზრუნველვყოფთ შესაბამისი მივლინების ბრძანების გაფორმებას ბატონი ზაზა ბოხუასთვის, ქალბატონი ნათია ნოღაიდელისა და ქალბატონი შორენა ოქროპირიძისთვის მიმდინარე წლის 21 იანვრიდან 26 იანვრის ჩათვლით და მინისტრის პირველი მოადგილისთვის დღიურ ნორმაზე დანამატის ანაზღაურებას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

პატივისცემით,

ანალიტიკის, ადამიანური რესურსების
მართვისა და საერთაშორისო ურთიერთობების
დეპარტამენტის უფროსი, პირველადი
სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

სოფიკო ბელქანია